

საქართველოს
დაპროზიხებინ დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2021 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

ივლისი, 2021 წელი

სარჩევი

მიმოხილვა3

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები3

პორტფელის მართვა7

საკანონმდებლო ცვლილებები8

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტი. აღნიშნული ითვალისწინებს იყო როგორც ტექნიკური, ისე მნიშვნელოვან, შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს, მათ შორის დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვას. აღნიშნული ცვლილებები 2022 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2021 წლის აპრილის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 36 387 344 622 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 926 456 469 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 4 170 041 025 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 2 556 272 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2021 წლის მაისის დეპოზიტების საერთო მოცულობამ 36 244 672 210 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 186 321 381 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 4 085 587 025 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 487 078 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 35 284 139 663 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 18 822 358 334 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 4 137 243 793 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 546 414 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 0.04%-ით შემცირდა. მაქსიმალური ზრდა 2021 წლის თებერვალში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.36%-ით მოიმატა, ხოლო მაქსიმალური ვარდნა 2.65% ივნისის თვეში დაფიქსირდა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 0.32%-ით, ხოლო მათში დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა 0.42%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა შესაბამისად 2021 წლის მარტის და აპრილის თვეში დაფიქსირდა, რამაც 2.70% და 3.47% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.20	იან.21	თებ.21	მარ.21	აპრ.21	მაი.21	ივნ.21	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	35,42	35,56	36,76	37,03	36,39	36,24	35,28	
თვიური ცვლილება, %		0,41	3,36	0,73	-1,73	-0,39	-2,65	-0,04
ფიზიკური პირების დეპოზიტები	18,49	18,72	18,90	19,41	19,93	19,19	18,82	
თვიური ცვლილება, %		1,22	0,96	2,70	2,68	-3,71	-1,90	0,32
დაზღვეული დეპოზიტები	4,04	3,92	3,99	4,03	4,17	4,09	4,14	
თვიური ცვლილება, %		-3,06	1,80	1,04	3,47	-2,03	1,26	0,42

2021 წლის მეორე და პირველი კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 4.7% და 3.01%-ით შემცირდა, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 2.66%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

	მარ.21	ივნ.21
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	37,03	35,28
კვარტალური ცვლილება, %	-	-4,70
ფიზიკური პირის დეპოზიტები	19,41	18,82
კვარტალური ცვლილება, %	-	-3,01
დაზღვეული დეპოზიტები	4,03	4,14
კვარტალური ცვლილება, %	-	2,66

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2021 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19.14%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 19.09%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 104.16%-ით გაიზარდა (ცხრილი #3). დაზღვეული დეპოზიტების ოდენობის აღნიშნული მკვეთრი ზრდა, 2020 წლის 1 ივლისიდან სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	ივნ.20	ივნ.21
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	29,62	35,28
კვარტალური ცვლილება, %	-	19,14
ფიზიკური პირის დეპოზიტები	15,81	18,82
კვარტალური ცვლილება, %	-	19,09
დაზღვეული დეპოზიტები	2,03	4,14
კვარტალური ცვლილება, %	-	104,16

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,4%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 19,65%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 15,7%-ით), ხოლო ევროში 22.6%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 12.4%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	ივნ.20	ივნ.21	ივნ.21 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	4,03	4,69	4,69
ცვლილება, %		16,4	16,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	10,31	12,34	11,93
ცვლილება, %		19,65	15,7
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,46	1,79	1,64
ცვლილება, %		22,6	12,4

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2021 წლის იანვარი-ივნისის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (3.12%) მარტში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 498 069 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.20	იან.21	თებ.21	მარ.21	აპრ.21	მაი.21	ივნ.21	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	2,50	2,45	2,42	2,50	2,56	2,49	2,55	
თვიური ცვლილება, %		-1,99	-1,19	3,12	2,33	-2,71	2,39	0,32

2021 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 2.95%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 58.99%-ით აღემატება (ცხრილი #7). რეგულარული სადაზღვევო შენატანის მკვეთრი ზრდა 2021 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამისი კვარტალთან შედარებით 2020 წლის 1 ივლისიდან სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.21	ივნ.21
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	7,37	7,59
კვარტალური ცვლილება, %	-	2,95

ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	ივნ.20	ივნ.21
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,77	7,59
კვარტალური ცვლილება, %	-	58,99

2021 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 97% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 21,98%. დაზღვეული დეპოზიტების 53% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 47% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2021 წლის მეორე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 7 589 765 ლარი შეადგინა. ხოლო, კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა 1 468 705 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2021 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2021 წლის 6 აპრილს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 50 237,29 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 50 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 8,542%-ია.

2021 წლის 27 აპრილს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 770 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 8,125%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 767 182,06 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

2021 წლის 1 ივნისს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში განახორციელა 7 775 829,33 და 2 779 968,88 ლარის ინვესტიცია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სარგებელი შესაბამისად 9,100 და 9,000%-ია. თითოეული გარიგების შედეგად სააგენტომ 2,750,000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 8,000%-ია.

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 72 128 049 ლარია.

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტი.

პროექტით გათვალისწინებული იყო, როგორც არსებითი, ისე ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელთა საჭიროება გამოვლინდა პრაქტიკაში, კანონის ამოქმედების შემდეგ.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება შეეხება დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვას. სისტემით უკვე უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ფიზიკური პირების, არამედ იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა და ანაზღაურება. ამით საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გაიზიარა შესაბამისი ევრო-დირექტივის მნიშვნელოვანი პრინციპები. აღნიშნული ცვლილებით იზრდება დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლი და მნიშვნელობა. იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა, შექმნის უსაფრთხოების დამატებით გარანტიას, სტიმულს მცირე ბიზნესისთვის და დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯსა და კლიმატზე. სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის შედეგად დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა დაახლოებით 480 მლნ ლარით გაიზრდება.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იზრდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ეფექტიანობა, რამდენადაც სააგენტოს უჩნდება ახალი ინსტრუმენტები საინვესტიციო საქმიანობის მეტი მოქნილობისთვის. ხოლო სადისკონტო ოპერაციების შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება ფასიანი ქაღალდების სწრაფი განაღდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონდის მიერ თავისი ძირითადი ფუნქციის - დეპოზიტორების სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. გარდა ამისა, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ეროვნულ

ბანკში გახსნას ანგარიში და განათავსოს თავისუფალი სახსრები სარგებლის მიღების მიზნით. კანონპროექტით მკაფიოდ განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ფონდიდან ანაზღაურების საკითხი.

რაც შეეხება ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, მათი აუცილებლობა გამოვლინდა პრაქტიკაში - კანონის ამოქმედების შემდეგ. მათ შორისაა სადაზღვევო შემთხვევის და დეპოზიტის ცნებების განმარტების დახვეწა და რიგი პროცედურული საკითხების გამარტივება.

საკანონმდებლო ცვლილებებში აისახა დაინტერესებულ მხარეთა მიერ (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი) წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან შევა. ცვლილების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, 2021 წლის ბოლოს, ჩატარდება შესაბამისი საინფორმაციო კამპანია. ამასთან, სიახლესა და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ცვლილებებზე მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან.